№ 131
პარასკევი, 23 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 131
პარასკევი, 23 ივნისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის **კავკასიის** უსინათლოთათვის **მზრუნველ განყოფილების საბჭო** მოიწვევს იმათ, ვისაც ჰსურს გააქირაოს სახლი ამა წლის 15 ივლისიდგან თვალით ავადმყოფთა სამკურნალოს განყოფილებისათვის; მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ სამკურნალოს დირექტორს დოქტორს **გ. ა. ტარსაიძეს** (ერმოლოვის აღმართი, კნ. აბამელიქოვის სახლი) და სამკურნალოს მზრუნველს **თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს** (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი).

(3—უ—2).

---

საბჭოს ნებართვითა და საზოგადოების წესდების § 32 მუხლის ძალით, გამგეობა ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა ამით აცნობებს გ-გ. წევრთ ხსენებულის საზოგადოებისას და მოიწვევს საზოგადო საგანგებო კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც უნდა მოხდეს ამა წლის 16 ივლისს, დილის 10 საათზედ, გამგეობის შენობაში: კრება მოისმენს საბჭოსა და გამგეობის მოხსენებას ფოთში საჯარო ვაჭრობით შეძენილ სახაზინო შენობებისა და განსვენებულის დიმიტრი დანიელის ძის სმირნოვის დუქნების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ საზოგადოების გამგეობას ნება მიეცეს გადაავიროს იგინი ერთ-ერთს ადგილობრივს სააღგილ-მამულო ბანკში, და აგრეთვე იმაზედ, რომ გამგეობას უფლება მიეცეს ეს მამული გაჰყიდოს, თუ რომ ეს საზოგადოებისათვის სასარგებლო პირობებით მოხდება და ამ მამულის შეძენის მსურველი აღმოჩნდება ვინმე. იმ წევრთ, რომელთაც პირად თითონ არ შეეძლებათ კრებაზედ დასწრება, შეუძლიანთ რწმუნების ბარათები ერთ-ერთს რომელსამე საზოგადოების წევრს წარმოუგზავნონ, რომ განსახილველსა და გარდასაწყვეტს საგნებში მრწმუნებელის ხმა მას გადაეცეს, მაგრამ ეს რწმუნების ბარათები საზოგადო კრებამდის სამის დღით ადრე უნდა იქმნან წარმოდგენილნი გამგეობაში საზოგადოების წესდების § 36 სხოლიოს ძალით.

(3—ნ—2)

## ახალი ამბავი

—

** გუშინ-წინ 6 საათზედ სალამოს მთელს ქალაქს მოედო ელვასავით თ. სუმბათაშვილის ქარხნის დაქცევა. დაწვრილებით შევკრიბეთ ცნობები დი აი საქმის გარემოება: ქარხანა აშენებული ყოფილა მტკვრის პირზედ, აბანოებს იქით. სწორედ ის მხარე ჩამოიქცა, რომელიც მტკვრისაკენ ყოფილა. შენობა იქით დაძველებული იყო, ესე რომ რამდენჯერმე მიუქცევია ტეხნიკებს და არხიტექტორების ყურადღება; ერთს დროს კიდეც დაუკეტნიათ, მაგრამ პატრონებს უჩივლიათ და სხვა არხიტექტორების მოწმობა წარუდგენიათ, ეს და ეს თუ გაკეთდება, შეიძლება ქარხანა აწარმოვონო. ცოტა რამ შეუკეთებიათ და ამ წლის დამდეგს ქარხანა ისევ გაუხსნიათ. ქარხანაში ყოველ-დღე მუშაობდნენ არა ნაკლებ 120 კაცისა. ოთხშაბათს საღამოს თვით იმ დარბაზში, რომელიც ჩამოიქცა, ნაკლებად ყოფილა მუშა, რამდენიმე კაცს გამოუსწრია, რამდენიმეც ცოცხალი გამოიყვანეს. ოთხი დასახიჩრებული მკვდარი გამოთხარეს, შვიდი მძიმედ დათუთქვილი და ამ უკანასკნელთ რიცხვში ერთი კიდეც გუშინ დილით მოკვდა საავადმყოფოში. მკვდრების რიცხვში ერთი ქართველი მოხუცი ურევია მიხო ჭინჭარაძე 9 შვილის პატრონი, რომელთაც ეს მოხუცი არჩენდა. დანარჩენი სომხებია: სარქისა მარტიროსოვი, ავეტის მუშეგოვი, არშაკა მიზარხანოვი და ერთიც აისორი მუშა, რომლის გვარი ვერ გავიგეთ. მძიმედ დაჭრილთა შორის ორი ქართველია: არჩილ ლოლაძე და ივანე ნატარაძე.

** მომავალს სამოსწავლო წელში მაღალსა და საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში შემოღებულ იქნება ახალი საგანი „რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა მეურნეობის ისტორია“.

** ქალაქში, როგორც ვიცით, ძალიან გავრცელებულია საქონლის საიდუმლოდ ხოცვა, რის გამოც ექიმები ვეღარ სინჯავენ საკლავს და ამიტომ ბევრჯელ ჭირიან საქონლის ხორცით იკვებება ხალხი. ამას წინად საბჭომ ქალაქის გამგეობას მიანდო ამის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების შემოღება. ქალაქის გამგეობამ უკვე განიხილა ეს საგანი და იმ აზრს დაადგა, რომ აწინდელი სავალდებულო დადგენილებანი ხორცით ვაჭრობის შესახებ უვარგისია და იგი თითქმის ხელსაც-კი უწყობს საიდუმლოდ საკლავის ხოცვასაო. მაგალითებრ, ამ წესებით სავალდებულო არ არის, რომ საყასბის გარეშე დაკლული ხორციც გაისინჯოს, აღკრძალულია საკლავის დახოცვა საყასბოს გარეშე, ხოლო გაყიდვა-კი არ არის აღკრძალული, რის გამოც ხშირად წვრილმან მოვაჭრეებს ხელითაც-კი დააქვთ ხორცი და ჰყიდიან. რასაკვირველია, ამათთვის სასარგებლო არ არის, რომ საკლავი ქალაქის გარეთ საყასბოზედ დაჰკლან და იქიდგან წამოიღონ ხორცი ფეშხოებით ქუჩა ქუჩა სატარებლად. ამის გამო ქალაქის გამგეობის აზრით ჯერ უნდა შეიცვალოს ეს სავალდებულო დადგენილებანი ისე, როგორც საჭიროება მოითხოვს ამას. ხოლო ამ ცვლილებათა შემოღებამდე-კი ერთის მხრივ იმ აზრით, რომ ქალაქის კასსაში საფლავზედ დადებული გარდასახადი უფრო წესიერად და სრულად შედიოდეს და, მეორეს მხრივ, იმისთვისაც, რომ ქალაქის მცხოვრებლები უზრუნველნი იყვნენ ჭირიან საქონლის ხორცის ჭამისაგან, ქალაქის გამგეობა შესაძლებლადა ჰხედავს უფრო მეტად ადევნოს თვალ-ყური თავისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის შემწეობით, რომ ჩუმად არ იკვლოდეს საქონელი. ამ პოლიციას დავალებული ექნება, რომ მიიღებს თუ არა საყასბოდგან ცნობებს, რომელს ყასაბს რამდენი საქონელი დაუკლავს, წავიდეს და დილით ადრევე გასინჯოს დუქნები ყასბებისა და სარდაფები, ვის რამდენი ხორცი აქვს. ეს ღონისძიება, ქალაქის გამგეობის აზრით, ჯეროვანად იმოქმედებს, თუ ამასთან ქალაქის ექიმებს დაევალებათ ამასთანავე, რომ უფრო დიდად ადევნონ თვალ-ყური ბაზრებს. რადგანაც დიდი მნიშვნელობა აქვს დროს, როდესაც ჰსინჯავენ ექიმები ბაზარს და ეხლა-კი ეს გასინჯვა ბაზრისა 9 საათიდგან 11-მდე ხდება, ამიტომ უფრო კარგი იქნება, რომ ექიმებმა დუქნები დილის 7—9 საათზედ გასინჯონ, როდესაც უფრო გახურებულია ვაჭრობაო. გამგეობის აზრით, ეს ღონისძიებანი საკმარისი იქნება, რომ აილაგმოს საკლავის საიდუმლოდ ხოცვა და მცხოვრებლებს უფ-

---

## ფელეტონი

—

### „Madame Sans-Gêne“.

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

ვ. სარდუსი და მოროსი.

(დასასრული *).

#### გამოსვლა 9.

ქუშე. რა გაეწყობა... ჩვენ თითონ უნდა ვეცადოთ... სხვა საშუალება არ არის... დაჯექით და დასწერეთ, რასაც გეტყვით. (მიდის მაგიდასთან. აიღებს ქაღალდს, მელანს, კალამს და მოაქვს კატრინთან, რომელიც სავარძელზედ დაჯდება და უხეიროდ კალამს დაიჭერს ხელში). მზათა ხართ? (კატრინ თავს უქნევს).

კატრინ. ოღონდ ნუ ამაჩქარებთ... მაინც-და-მაინც დახელოვნებული არ გახლავარ წერაში.

ქუშე. ვიცი, ვიცი... სწერეთ! „მოიგონეთ ძილი. ეხლავე შემოვა პოლიციის მოხელე ვითომ-და ბრძანების გადასაცემად და თქვენის დარაჯების ყურადღებას იგი მიიპყრობს“...

კატრინ. უფ! აღარ სწერს ეს ოხერი კალამი?!.

ქუშე. (გამოართმევს და მელანში უწებს) „და სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი თვალს მოგაცილებენ, გამოვარდით გარედ“...

კატრინ. ერთი რაე დავუსვა თუ ორი?

ქუშე. (მოუთმენლობით) ერთი, ერთი!

კატრინ. თუ ერთია, ერთი იყოს, ქე რა მენაღვლება!!.

ქუშე. „დერეფანში მოუხვიეთ მარცხნით და დანციგის დუკის სადგომში მიიმალეთ... დილაზედ განახავთ“!

კატრინ. გათავდა? ოხ! რა დავიღალე! ახლა, როგორ გადავსცეთ?.. მოიცა, მოვიგონე. (მიდის ბუხართან და არაწკუნებს პატარა ზარას, შემოდის კონსტან). კონსტან! იმპერატორმა ნეიპერს ნება მისცა, ჩემის თხოვნით, დედას წერილი მისწეროს... გთხოვთ ეს გადასცეთ! (აძლევს რამოდენიმე თაბახ ქაღალდს, წერილსაც შიგ გაახვევს კონსტანს მიაქვს).

ქუშე. სწორედ კარგია... დარჩით აქ და მე წავალ, ყველაფერს შევამზადებ!.. (ჩქარა გადის მარჯვნით. კატრინ უძრავად დგას. მოისმის ნაპოლეონის და სავარის ხმები: ნაპოლეონ ამბობს „კმარა! კმარა“! სავარი: „ხელმწიფეო, თქვენ უწყით ჩემი გულ-მოდგინება)“...

#### გამოსვლა 10.

კატრინ, ნაპოლეონ, სავარი, კანონვილ, მორტიმერ და ლორისტან.

ნაპოლეონ. იმედი მაქვს, ეხლა მიხვდით?

სავარი. უსათუოდ, ხელმწიფეო! გავბედავ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, კმაყოფილი დარჩებით ჩემის სამსახურით!

ნაპოლეონ. თქვენთვისაც ეგ იქნება უმჯობესი—თუ-კი მასიამოვნებთ!! (სავარი და ამალა გადიან. ნაპოლეონი მოდის მაგიდასთან, შენიშნავს კატრინს, რომელიც მძიმედ თავს უკრავს). თქვენ კიდევ აქა ხართ?..

კატრინ. ქმარს ველოდი, ხელმწიფეო, მაგრამ, მგონი, იმას მე არ ვემახსოვრები ახლა!.. (მიდის დიასთან).

ნაპოლეონ. დაიცადეთ! თქვენ შეიქენით მოწმე ისეთის ამბისა, რომელიც სრულიად არ უნდა გცოდნოდათ! (უცებ აზრი მოუვა) მაგრამ ვინ იცის, იქნებ თქვენ ეს ყველაფერი ადრე იცოდით?

კატრინ. მეე?

ნაპოლეონ. დიაღ, თქვენ... რათ არ შემატყობინეთ, რომ ნეიპერი თქვენი მეგობარია?!

კატრინ. ჩემთვის არ გიკითხავთ ეგ, ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. დღეს საღამოს ის თქვენ გამოგესალმათ განა? უარს ნუ ამბობთ... მე თქვენის ქმრისაგან გავიგე ეგ...

კატრინ. უარის თქმა არც განმიზრახავს.

ნაპოლეონ. (მიუახლოვდება) რასაკვირველია, გიამბოთ მისი განდევნის მიზეზი?

კატრინ. ნამდვილ მიზეზის შესახებ არაფერი უთქვამს, ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. მაგრამ იქნება მიგახვედრათ მაინც, რომ ამ საქმეში ქალი ურევია?

კატრინ. ეს მართალია!

ნაპოლეონ. აჰა!

კატრინ. მაგრამ ქალის სახელი არ წარმოუთქვამს!.

ნაპოლეონ. (შეაცქერდება) სიტყვას ნუ აგდებთ ბანზედ! მიპასუხეთ, ვით შეჰფერის პატიოსანს და წესიერს მანდილოსანს: თუ ქალის სახელი არ ახსენა ნეიპერმა, შორიდგან მაინც მიგახვედრათ, ვინ არის ეს ქალი!

კატრინ. არა, ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. არა მჯერა!

კატრინ. როდესაც ვამბობ არას—ეს „არა“ ნამდვილი გახლავს!

ნაპოლეონ. ყველა ეგრე ვერ იუარებს, როგორც თქვენ! (უჩვენებს მარცხნით კარებზედ) იმ უნამუსო დედაკაცმა, რომელიც იმას წინ მოუძღოდა, ყველაფერი აღიარა!

კატრინ. (შეწუხებული) ოოოჰ!

ნაპოლეონ. რაო? შეშფოთდით თუ არა? მოისმინეთ მაშ იმ ქალის აღსარება და მაშინ თქვენც დაემოწმებით! თერთმეტს საათზედ, ჩუმად, ნეიპერ, იმპერატრიცასაგან განზრახული, მოვიდა ბარონესასთან და უთხრა: „როგორც-კი იმპერატორი დასაძინებლად წავა, მიმაცილეთ იმპერატრიცას ოთახამდის—ნაბრძანები მაქვს წასვლის წინ ვიახლო!“ (უფალებს სიტყვას მკაფიოდ წარმოსთქვამს).

კატრინ. ბარონესსა უთუოდ შიშისაგან იტყოდა ამეებს. ალბად თუ-თიყუშსავით იმეორებდა სხვის სიტყვებს!

ნაპოლეონ. (გულ მოსული) თქვენ თითონ არ გჯერათ, რასაც ამბობთ.. კარგად იცით, ნეიპერს ელოდნენ დღეს აქ! (კატრინ თვალებს კვრ გაუჩერებს და მიბრუნდება) რაც უნდა თავ-ხედი ყოფილიყო ნეიპერ, ამას მაინც როგორ გაბედავდა, თუ წაქეზებული არ ყოფილიყოს. არ ვიცი, არ ვიცი სადამდის მიაღწიეს მათ, მაგრამ თქვენ და ბარონესამ ყველაფერი იცით და მეც უნდა მითხრათ ყოველივე!

კატრინ. გეფიცებით, არა ვიცირა!

ნაპოლეონ. (უფრო მკაცრად) მე მსურს შევიტყო მართალი... რაც უნდა იყოს, მხოლოდ მართალი!! მე თქვენი იმპერატორი ვარ, ხელმწიფე! ვთხოულობ ამას თქვენგან... გესმით.... გიბრძანებ! (ხელს წაავლებს)

კატრინ. ხელმწიფეო! მატკინეთ!.. (ხელს გაუშვებს) გრაფს არაფერი არ უთქვამს ისეთი, რასაც თქვენ ჰფიქრობთ, პირიქით სრულიად წინააღმდეგი სთქვა და ვფიცავ, ეს მართალია!

ნაპოლეონ. თქვენ ისე ლაპარაკობთ, როგორც ქალი და ორივე

---

*) იხ. „ივერია“ № 130.

რო ჯან-საღის საქონლის ხორცი ჰქონდეთ საკვებადაო.

ამ მოხსენებას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში წარუდგენს საბჭოს განსახილველად.

*** გუშინ-წინ, 21 ივნისს, მთავარმართებლის თანაშემწე გრაფი ი. დ. ტატიშჩევი კოჯორში გადავიდა. იმავე დღეს გადავიდა კოჯორში მთავარმართებლის კანცელარიაც.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა კ. ი. მუხრან-ბატონმა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებების შეცვლის პროექტი უკვე გაგზავნა პეტერბურგშიო, როგორც ამბობენ. ხოლო რაც შეეხება ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის პროექტს ჯერ იგი სავსებით არ არის შემუშავებული.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახლად ამორჩეულ გამგეობის პირველი სხდომა კვირას, 25 ივნისს, იქნება. სხდომის მორიგი საქმე იქნება ამოირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, ხაზინადარი და მდივანი, მიჰმართონ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ ამ ზამთრის სეზონში ქართულს წარმოდგენებს თეატრი უფასოდ დაუთმოს და სხვა საგნები, რომლებიც წარმოდგენების მართვას შეეხებიან.

*** სპარსეთის მთავრობას უთხოვნია რუსეთის მთავრობისათვის გზათა უწყების ინჟენერები. ხარჯი, რომელიც მათ დასჭირდებათ, სპარსეთის მთავრობას თვით უკისრნია. ინჟინერებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ რანაირად შეიძლება თეირანისა და თავრიზის შეერთება რკინის გზით ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან.

*** „ივერიის“ გუშინდელს ნომერში, სხვათა შორის, ნაუწყები გვქონდა, რომ გორის მაზრაში ს. ალში ფილოქსერა აღმოუჩენიათო. ეხლა „კავკასიის სასოფლო სამეურნეო“ ჟურნალში ვკითხულობთ, რომ ფილოქსერა აღმოუჩენიათ აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში ს. წიფაში. საფილოქსერო კომიტეტის დადგენილებით ზემოხსენებულ ადგილებში გამოკვლევა სწარმოებს, რათა შეიტყონ რამდენად არის ამ ადგილებში გავრცელებული ფილოქსერა და მიიღონ ჯეროვანი ღონისძიება, რომ ფილოქსერა სხვა ადგილებშიაც არ გადავიდეს.

*** სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს, რომ ადგილობრივ შეიტყოს ჩვენს ქვეყანაში რა მდგომარეობაშია ყოველგვარი სამიწათ-მოქმედო და საბაღოსნო წარმოება, რომ მომავალში საჭირო საშუალება შემოიღოს ამ წარმოებათა გასაუმჯობესებლად. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩამოვიდეს მინისტრის მონდობილობით ზემოხსენებულ სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი თავადი მასალსკი.

*** ამას წინად გვქონდა თიანეთიდგან დაბეჭდილი ამბავი, რომ თიანეთ-ანანაურის გზის კეთების დროს მიწა მოზვავდა და მუშები დაიტანა ქვეშაო. ახლა, როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს გაუგონია, რომ სულ თხუთმეტი კაცია სასიკვდილოდ დაჩეჩქვილი ზვავისაგანაო.

*** სიღნაღი: სიღნაღის ვაჭარს დავით პაატაშვილს თხოვნა შეუტანია კავკასიის სამადნეულო გამგეობაში, რათა მიეცეს მას ორი დესეტინა მიწა, ესრედ წოდებულს „ნაბანბრევში“ (ამავე მაზრაშია), საცა ადგილ-ადგილ ამოდის ნავთი, იღვრება მიდამოში, მერე სქელდება და ნიადაგს ედება ზედა პირად.

*** დაბა აბაშა, (სენაკის მაზრა): წვიმებმა ძლიერ შეგვაწუხა. ახლომახლო წყლები ადიდდა და ყანები დააზიანა.

ძალიან შეწუხებულნი ვართ უგზოობის გამო, კაცს ქუჩებში გავლა არ შეუძლიან ტალახ-წუმპეების გამო, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

საჭიროა, ამ ჩვენს უგზოობას ყურადღება მიექცეს.

ადგილობრივ პოლიციის განკარგულებით შუადღემდის დუქნები დაკეტილია კვირა-უქმე დღეებში, მაგრამ რას გვიკეთებს მარტო დუქნის კარების დაკეტვა, თუ ნოქრები ეკკლესიაში ლოცვას არ მოისმენენ.

*** აღსტაფა: 21 ივნისს დილით მე-383 ვერსზედ სახალხო მატარებლიდგან ვაგონებს შუა ჩავარდა კონდუქტორი სურახანბეგიშვილი და ძლიერ დაშავდა.

## კორესპონდენცია.

**ქვემო-მაჩხაანი,** (სიღნაღის მაზრა). საკუთარის მკურნალის ყოლა ქვემო-მაჩხაანისა და გარშემო სოფლებისათვის ერთს უპირველესს საჭიროებათაგანს შეადგენს. საწყალი კაცი ამ მხრივ უშემწეოა, რადგან ძალა უნებურად უვიცს შინაურ ექიმბაშს უნდა მიჰმართოს. რა საწყალი კაცი გინდათ, განა ბევრს შეუძლია ათისა და თხუთმეტის ვერსის სიშორიდგან, ე. ი. სიღნაღიდგან მოიწვიოს მკურნალი? ჯერ სიღნაღის მკურნალს ყოველთვის არა სცალიან და თუნდაც ეცალოს, ფაიტონისა და ფეხის ქირათ, მომწვევს თხუთმეტ მანეთამდის დასჭირდება. ამ გაჭირვებას თავს ადვილად დავაღწევდით, რომ თავს იდოს ვინმემ და წინამძღოლობა გაუწიოს ხალხს. ქვემო-მაჩხაანსაცკი შეუძლია ერთი მკურნალი შეინახოს, არამც თუ ქვემო-მაჩხაანსა და გარშემო მდებარე სოფლებს; ხოლო რამდენად სასარგებლო იქნება ეს გლეხების ჯანმრთელობისათვის, ამას, ეჭვი არ არის, ყველა კარგად მიხვედრილია.

ეგ. მ—ი.

ქვემო-მაჩხაანი,
19 ივნისი.

—

**დ. ლანჩხუთი,** (ოზურგეთის მაზრა). მეტად შესანიშნავი ნიადაგი არის დ. ლანჩხუთის სახნავ-სათესი მიწები. თითქმის ასეთი ნოყიერი და მოსავლიანი არც ერთს გურიის დაბებში არ მოიპოვება და ამისთვისაც არის, რომ აქ ჩამოსულან უცხოელი ბერძნები და ყიდულობენ სიმინდს, რომელსაც გზავნიან საზღვარ გარედ. ისეთი მოსახლე გლეხი არავინ იქნება, რომ წლის თავზედ არ გაჰყიდოს 200—300 ფუთი სიმინდი, ანკი სხვა რა აქვთ აქაურ გლეხებს შემოსავალი. ამ განაყიდ სიმინდით აცხოვრებს აქაური გლეხი ცოლ-შვილს და სახელმწიფო ფულსაც ამით იხდის. მაგრამ უბედურება გვეწვია წელს და ულმობელად რჩება ყველა გლეხ-კაცობა. ლანჩხუთის სახნავ-სათეს მიწებს მახლობლად ჩამოდის მდინარე ფიჩორი, რომელიც უერთდება რიონს. ამას წინად წვიმები იყო, ისე გადიდდა რიონი, რომ იქიდგან წამოსულმა წყალმა ფიჩორის შემწეობით ეს დამუშავებული მიწები სულ თან წაიღო და ამოსული სიმინდები ძირში ამოთხარა. არ გასულა ამის შემდეგ თხუთმეტი დღე, რომ ხელ-მეორედ დათესეს სიმინდი; ამოვიდა თუ არა, წინა კვირეების წვიმებმა ისევ ის დღე დააყენა, რაც წინად. ახლა რაღა დროს სიმინდის თესვაა, რომ მესამედ დათესონ. ისევ გაჩერებულან აქაური გლეხები თავიანთ სახლში. დღეს, როცა გახურებული მუშაობა უნდა იყოს, გლეხები მძიმედ ყალიონით თამბაქოს ეწევიან. სხვას არას დაძებენ აქაური გლეხები; მჭადი იშოვონ საჭმელი ოღონდ, იმას სტირიან, რომ ფოსტისა და სახელმწიფო ფული როგორ უნდა გარდვიხადოთო!

გალია.

—

**ლეჩხუმი.** წელს ლეჩხუმლებს დიდი გაჭირვება ადგიათ შიმშილობის გამო. მოუსავლობის მიზეზი ის იყო, რომ შარშანდელი ზაფხული ძლიერ გოლვიანი იყო და ნორჩს სიმინდებს საშველს არ აძლევდა ვაკე და ჭალა ადგილებში გაზრდისას, რის გამოც მესამედიც არ მოუწევიათ. მთიან ადგილებში, მართალია, გოლვა ვერას დააკლებდა მაგდენს, მაგრამ სიმინდი ისევ დაუმწიფებელი იყო, (ე. ი. 8 ენკენისთვეს) რომ მთები დათოვა, ყინვებისაგან სიმინდები დაითრთვილა და სრულებით გატიალდა და გაოხრდა, როგორც მარცვალი, ისე ჩალა და ლობიო.

აი, ამნაირად მოეღო ბოლო საწყალის გლეხის ნაოფლარს და ნაჭირნახულევს. არავის მთების ყანებიდგან მარცვალი სიმინდი სახლში არ შემოუტანია და ამის გამო იძულებულნი გახდნენ შემოდგომიდგანვე შესდგომოდნენ სიმინდის თავდარიგს. მოაღწიეს საწყლებმა აქამდის როგორც იყო. აღარავინ შეირჩინა ოჯახში ძროხა, ცხვარი, ღორი და უკანასკნელი მათი ოჯახის დიდება ხარებიც, რომლებიც „ტყავის ფასად“ იყიდებოდა. ზოგმა იმათგანმა მინართეს სოფლის მევახშეებს ფულის სასესხებლად, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი კაცი, ამ სტრიქონების წამკითხველი, წარმოიდგენს თუ რა იაფად დაუჯდებოდათ გლეხებს ამათი ფული და დახმარება.

ეს გაჭირვება მარტო გლეხების თავზედ არ არის, თავად-აზნაურობაც ამავე ტაფაში იწვის. ამ უკანასკნელთ ზედ დაერთოთ აზნაურობისთვის საბუთების ძებნა და დავი-დარაბა; აღარ ზოგვენ ცოცხალს თავს, აღარ ებრალებათ მამული და დედული, რა არის და

---

მატყუილებთ! თქვენ არ გინდათ გამიმჟღავნოთ, თუ რა სირცხვილში ვარ. ამ სირცხვილში თქვენ ჩამაგდეთ მე! თქვენ ჰფიქრობთ: ახლა თუ არაფერი გამაგებინეთ, და ისიც სიტყვის წარმოუთქმელად სიკვდილს მიეცემა, ამასთან არც იმპერატრიცა გამოტყდა, მაშინ ვერაოდეს ველარ შევიტყობ, თუ რამდენად არის იგი ჩემთან დამნაშავე? (მიდის მაგიდასთან. კატრინ უძრავად დგას) თქვენ, უსულო, უგულო დედაკაცთა მოწყალებით ბნელში ვარ, ვწვალობ, ვიტანჯები და არ ვიცი რისათვის ვსჯი ნეიპერს და რისათვის უნდა დაგსაჯოთ თქვენც? (კატრინ შიშისაგან შეიძრწუნა. ნაპოლეონ დაეშვება სავარძელში. პაუზის შემდეგ — წამოდგება... კილოს გამოიცვლის). თვით მე ვარ დამნაშავე! გავფიცხდი! უნდა თავი შემემაგრებინა, დეე, შესულიყო იმპერატრიცას ოთახში და იქ მოვასწრებდი! იმპერატრიცას პირველ ხმის ამოღებაზედ შევიტყობდი ყველაფერს... თუმცა ისიც კმარა, ოთახში მიღებას რომ აპირებდა!!

კატრინ. თავის დღეში იმპერატრიცა იმას ოთახში არ შეუშვებდა!

ნაპოლეონ. (დაცინებით) თქვენა გგონიათ? ყოველ შემთხვევაში მე ხელთ მიპყრია საშუალება ყოველივე შევიტყო... იმან ჯერ არ იცის, რაც იქ მოხდა... მაშ... ვნახოთ, ვნახოთ! (მიდის შუა-კარებისაკენ და ჩუმად უძახის) რუსტან! (რუსტან შემოდის. კარები ღია რჩება) ბარონესსა მომგვარე აქ! (რუსტან მარცხნით გადის).

კატრინ. (შიშით) რას აპირებთ, ხელმწიფეო?

ნაპოლეონ. (მიდის და ცივის ხმით აწყვეტინებს სიტყვას) მსურს შეცდომა გავასწორო! დავუბრუნდე სწორედ იმ წამს, როდესაც აქ შემოვიდა ნეიპერი და ყველაფერს, რასაც თქვენ მიმალავთ, თვით იმპერატრიცას ბაგეთაგან მოვისმენ! (მიდის სიღრმეში).

კატრინ. ეგ რაინდობა ვერ არის ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. რას ამბობთ?

კატრინ. რასაც ვფიქრობ, ხელმწიფეო! მაგგვარი ცბიერება თქვენ არ გეკადრებათ! (რუსტანს შემოჰყავს ბარონესსა ბულოვ).

გამოსვლა 11.

ნაპოლეონ, კატრინ, ბულოვ, რუსტან.

ნაპოლეონ. დაჩუმდით! შიშისაგან კიდევ მეტს ტიკტიკობთ! (ბარონესას) მოახლოვდით და მოისმინეთ! თქვენ ეხლავ შეხვალთ იმპერატრიცას ოთახში... გასაღები ხომ გაქვთ.. გესმით?

ბულოვ. დიაღ, ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. კარებს ღია დასტოვებთ... მე მსურს აქედგან თვალი გადევნოთ... მიდით იმპერატრიცასთან და სიტყვა-სიტყვით უთხარით „გრაფი ნეიპერი არ წასულა, ის აქ არის და ელის თქვენის უდიდებულესობის ბრძანებას“! წადით! (მუქარით) სხვა არაფერი! გახსოვდეთ! მე თვალს არ მოგაშორებთ! (ბარონესსა მიდის შუა-კარებისაკენ. ნაპოლეონი რუსტანს) დაუკელ სინათლეს! (სცენაზედ ბნელა. ბარონესსა გასაღებს ამოიღებს ჯიბიდგან და კარებს აღებს — სტოვებს ღიას — შედის. მოჩანს ერთი კუთხე ლოგინისა, რომელზედაც მარი-ლუიზა წევს. ბარონესსას საზოგადოება ხედავს. ნაპოლეონი მიეყუდება კაბინეტის კარებს და გაშტერებით უცქერის. რუსტან უძრავად დგას მაგიდასთან. კატრინ, მარცხნით, გაშეშებული.)

მარი-ლუიზის ხმა. ვინ არის? ბარონესსა, თქვენა ხართ?

ბარონესსა. დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ... გრაფი ნეიპერი არ წასულა, ის აქ არის და ელის თქვენის უდიდებულესობის ბრძანებას!

მარი-ლუიზის ხმა. კარგი. დაიცადეთ ერთი წამი... (კატრინ დაინძრევა, ნაპოლეონი მუქარის ხელის გაქნევით შეაჩერებს. გამოჩნდება იმპერატრიცას ხელი, რომლითაც წერილს აძლევს ბარონესას.) გადაეცით, სხვა არაფერი! შეგიძლიათ წახვიდეთ!

ბარონესსა. მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

ნაპოლეონ. (მივარდება და წერილს გამოგლეჯს ხელიდამ. მკაცრად) წადით! (ბარონესსა მძიმეთ თავს უკრავს და მარცხნით გადის. ნაპოლეონ კონვერტს გლეჯს და წინ მოდის — რუსტან სინათლეს მოუმატებს.) „მისს უდიდებულესობას ავსტრიის იმპერატორს“. მამასთან? (კატრინს გაეხარდება და თანდათან უახლოვდება იმპერატორს) „ძვირფასო, საყვარელო მამავ! რადგან ახალი პოლიციის მინისტრი ყველა ჩემ წერილებსა ხსნის, ამისთვის ვსარგებლობ კარგის შემთხვევით და გიგზავნით წერილს გრაფის ნეიპრის ხელით! გთხოვ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს! იმის გამო, რომ ნათესავია და დიდხანს ერთად ვცხოვრობდით ერთს ქალაქში, გრაფ ნეიპერს ჰგონია, რომ უფლება აქვს განსხვავებულის ყურადღებით მომექცეს, რაზედაც დიდი უკმაყოფილება გამოიჩინა იმპერატორმა. სწორედ დღეს საშინელი უსიამოვნება შემახვედრა და ნეიპერს უბრძანა ვენაში დაბრუნდეს! დიდად გთხოვთ, ნურაოდეს ნუ გამოგზავნით საფრანგეთში, დარჩეს მანდ თქვენთან! ამ თხოვნის შესრულებით უზომო სიკეთეს გაუწევთ თქვენს ერთგულს და მოყვარულს ქალს მარი-ლუიზას“. (ნაპოლეონს სახეზედ სიამოვნება დაეტყობა. კატრინ იცინის.)

კატრინ. (გამარჯვებული ხმით) ხომ გეუბნებოდით იმათ შორის არა არის რა-მეთქი!

ნაპოლეონ. დიაღ, თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენ მართალი იყავით, თუმცა ყველაფერი-კი ამტყუნებდა იმპერატრიცას!

ნაპოლეონ. (რუსტანს) კანონვილს დაუძახე.

კატრინ. თქვენო უდიდებულესობავ, ახლა, იმედია, ბევრს აღარ მალაპარაკებთ პატივების შესახებ?!.

ნაპოლეონ. რასაკვირველია! ისიც კმარა, რაც იტანჯა ამ ნახევარს საათში!..

კატრინ. ნახევარი კი არა, მთელი ორი საათი!

ნაპოლეონ. (რუსტან დაბრუნდება) წადი ეს წერილი დაბეჭდე ისევ და ჩქარა მობრუნდი. (რუსტან გამოართმევს წერილს და მარცხნით გადის. კანონვილ შემოდის მარჯვნით).

გამოსვლა 12.

ნაპოლეონ, კატრინ და კანონვილ შემოდის მარცხნივ.

ნაპოლეონ. (კანონვილს) შემოიყვანეთ გრაფი ნეიპერ!..

კანონვილ. ის იქ, ოთახში აღარ გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ..

კატრინ. (გახარებული) აჰ, ყოჩაღ, მოუქნილავს!

კანონვილ. მართალია გაქცევა დაუპირებია, მაგრამ სავარის მოხელეთ დაუჭერიათ და თან წაუყვანიათ...

კატრინ. (შეშინებული) ღმერთო ჩემო!

კანონვილ. იქ, სადაც ნაბრძანები

გლეხად არ დავრჩეთო. ამ წერილის მომწერმა ბევრს სამწუხარო ამბავს მოჰკრა ყური ლეჩხუმში. აი, ზოგიერთი მაგალითებიც, რომლებიც ძლიერ ჩააფიქრებს კაცს და ნუგეშის მაგიერ სასოწარკვეთილებაში შეჰყავს.

ერთმა აზნაურმა, რომელსაც ფული ესაჭიროებოდა „მარკებისა და დეპუტატთა კრებაში“ შესატანათ, მიჰყიდა ადგილი, რომელიც ღირდა 100 მანეთად სოფლის მევახშეს 12 მან.; მეორემ ფულად ისესხა ამავე ჩარჩისაგან 20 მან. და წლის თავზედ სარგებელში მოუყვანა ძროხა თავისის ხბოით, ღირებული 20 მან. და თავნი ვალი ვალად დარჩა. მესამემ ბეღელი მიჰყიდა, რომელიც ღირდა 120 მან.—15 მან. და კიდევ ბევრი ამისთანაები, რომლების ჩამოთვლა ბევრს დროს მოგვანდომებს. ამით მოიცილეს ერთი მოთხოვნილება, მაგრამ მეორე უფრო საჭირო და მიუცილებელი, ე. ი. შიმშილი, რითი და რა საშუალებით მოიცილონ. რომ იტყვიან: „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“, სწორედ ამაზედ ითქმის. შიმშილი კუჭს უწუხებს და თან საბუთების საქმე ტყავს აძრობს. იძულებულნი არიან აქაურები სიმინდი ზიდონ ქ. ქუთაისიდგან, სადაც 60 კ. ღირს ფუთი. აქ თუ სადმე შეიგულეს გასაყიდი, დიდის სიამოვნებით აძლევენ 2 მ.ნ. 60 კ. კოდში. (კოდი 4 ბათმანია და ბათმანი 21 გირვანქაა). რა ქმნას აქაურმა ხალხმა, როდესაც არავითარი ღონე არა აქვს ფულის შოვნისა. ერთად-ერთი იმედი, საშუალება ამათი იყო ღვინო, მაგრამ წელს ეს საშუალებაც მოესპოთ, რადგანაც ღვინო ძლიერ მჟავე და უღონო დამდგარა, რის გამოც კაცი ხელს არ ჰკიდებს. ერთი იმედი კიდევ დარჩენიათ პურზედ, რომლის შემოსვლასაც ელიან სულ-და-სულად. მაგრამ აქედგანაც არ მოელის გლეხის ოჯახს სასიამოვნო ამბავი, რადგანაც ვალში ჩავარდნილი სიმინდის სყიდვას ველარ შესძლებს ამის შემდეგ და პურს (სამარც.) სათესურათაც აღარ მოიტოვებს შემდეგისათვის, რომლითაც ძლიერ შეფერხდება მათი ეკონომიური მდგომარეობა მომავალში. ესევე დღე ადგია მთელს რაჭას და უარესიც.

მე მგონია მთავრობის მხრით ძლიერ საჭირო იყო ამათი დახმარება და ახლაც საჭიროა შველა და შეწეობა აღმოეჩინოს უბედურებაში ჩავარდნილს რაჭა-ლეჩხუმს. მომავალიც ვერაფერს იმედს იძლევა მოსავლისას, რადგან სულ წვიმები, სიცივე და ცუდი ამინდებია; სიცივე ამჟამად ისეთია, რომ იძულებულნი ვართ ბუხარს მივმართოთ. რასაკვირველია, ამისთანა სიცივე და წვიმები გავლენას იქონიებს როგორც ახლად ამოსულ ნორჩს სიმინდებზედ, ეგრეთვე ვენახებზედ, რომლებიც ახლა ჰყვავიან. სიმინდებს ეხლავე ეტყობა, რომ სიყვითლის ფერი გადაჰკრა. ვენახს ძლიერ ეტყობა ჭრაქი.

ილიკო მაჭავარიანი.

ს. ვანი.
95 წ. 20 ივნისი.

## რუსეთის ცხოვრება.

ამ დღეებში დამტკიცდა ახალი წესდება შემნახველ კასებისა. ამ საჭიროსა და ფრიად საყურადღებო საგანს აქამდის მთავრობა არ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას, მაგრამ კასებმა მაინც მოიკიდა მაგრად ფეხი ხალხის ცხოვრებაში, რუსეთში მრავლად არსებობს შემნახველი კასები და შუათანა შეძლების საზოგადოება და გლეხობაც მათ საკმაოდ შეეჩვია.

ახალის წესდების ძალით შემნახველ კასებს მიენიჭათ სახელწოდება „სახელმწიფო“ და ამიერიდგან ისინი სახელმწიფო დაწესებულებად ჩაითვლებიან. ეს ძალიან მიუმატებს ამ კასებს მნიშვნელობას, რადგანაც სახელმწიფო თავდებათ უდგება შემნახველთ, რომ კასებში შესანახად შეტანილი ფული არ დაიკარგება, წინააღმდეგს შემთხვევაში დაკარგული ფული სახელმწიფო ხაზინამ უნდა გადიხადოს და შეავსოს. ახალს წესდებას აზრად აქვს—რაც შეიძლება გააფართოვოს და გააძლიეროს ფულის შეგროვებისა და შენახვის საქმე. ამისთვის კასები გაიხსნება ყოველგან, სადაც გარემოება მოითხოვს, არა-თუ ქალაქებსა და დიდრონს დაბებში, არამედ პატარა სოფლებშიაც. სამუდამო კასების გარდა, დროებითაც გაიხსნება ხოლმე იმ ადგილებში, სადაც სავაჭროდ დიდძალი ხალხი შეგროვდება ბაზრობისა და იარმუკობის დროს.

ყოველ კაცს ნება აქვს რამდენიც უნდა, იმდენი მიაბაროს კასას შესანახად და მასთანავე ნება აქვს ის დანიშნულება მისცეს შეტანილს ფულს, რა დანიშნულებაც მას განუზრახავს, მაგალითად: შვილების აღზრდისათვის, მზითევისთვის, დამარხვისთვის და სხვა-და-სხვა. მიბარებული ფული თან-და-თან იზრდება სარგებლით და როდესაც ათას მანეთამდე ავა, კასა ატყობინებს თანხის პატრონს, რომ მან ან წაიღოს ფული, ან იყიდოს რომელიმე სარგებლიანი სახელმწიფო ქაღალდი. თუ პატრონი არ ინებებს კასის შემონათვალის ასრულებას, მაშინ კასა თვით ჰყიდულობს შესაფერს სარგებლიანს ქაღალდს ფულის პატრონის სახელობაზედ. კასა ვალდებულია თვით ადევნოს თვალ-ყური, რომ ქაღალდი ტირაჟში არ გავიდეს ან ფასში არ დავარდეს. ამგვარად შემნახველი სრულიად დარწმუნებული იქნება, რომ შავის დღისთვის შეგროვილი ფული უვნებლადა და უკლებლად იქნება.

ახალი წესდება დიდს ყურადღებას აქცევს როგორც კასსების საქმის წარმოებასა, ისე კონტროლის კარგად და წესიერად მოწყობას. ამ მხრით ახალის წესდების შემმუშავებელთ უხელმძღვანელიათ ევროპის კასსების წესდებით.

საზოგადოდ, ახალის წესდებით მოწყობილი კასსები უთუოდ რიგიანად შეასრულებენ თავისს დანიშნულებას—მისცემენ საშუალებას, რომ ღარიბმა ხალხმა ადვილად აგროვოს ფული და უშიშრად შეინახოს იგი სახელმწიფო დაწესებულებაში.

—

„ბირჟევ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი სცენა:

ავადმყოფი სულთ ებრძვის.

— ს ა ხ ლ შ ი წაიყვანეთ! უბრძანებს ექიმი.

— ჩქარა... უკვე გ ა წ ე რ ი ლ ი ა.

მომაკვდავს რის ვაი-ვაგლახით წამოსვამენ ლოგინზედ, ტანისამოსს ჩააცმენ, საავადმყოფოდგან გამოჰყავთ და საერობო მარხილში ჩასჩხირენ ავადმყოფს.

— გასწი!..

მარხილი სამ-ოთხს ვერსს არ გაივლის და ცოცხალი კაცის მაგიერად მარხილში გაფიჩხებული კაცის გვამი-ღა დევს.

მაგრამ სამაგიეროდ საავადმყოფოს დავთარში „მოკვდა“-ს მაგიერად „გაიწერა“ სწერია...

ეს შემთხვევა პირველი და უკანასკნელი არავის ეგონოსო, ამბობს ადგილობრივის გაზეთის ადგილობრივი კორესპონდენტი,—იგია დიდის ხნის სისტემა საავადმყოფოსიო.

— ჩვენის საავადმყოფოს არსებობიდგან მ რ ა ვ ა ლ ზ ე დ უ მ რ ა ვ ლ ე ს ი ყოფილა ა ს ე თ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა...

მაგრამ სამაგიეროდ თვით საავადმყოფოში გარდაცვალებულთა რიცხვი სათქმელი არც-კია. ავადმყოფები ჩვეულებრივად მეეტლეს მარხილში ლევენ სულს, ხშირად საავადმყოფოს კარებშივე, ხოლო საავადმყოფოში-კი არასოდეს. საავადმყოფოში სიკვდილი არ შეიძლება, იქიდგან მხოლოდ „გამოწერა“ შეიძლება...

ხსენებული საავადმყოფო ეკუთვნის ერობას და იმყოფება ვიატკის გუბერნიის, ელაბუგის მაზრის ს. მოჟგაში.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

16 ივნისს შესრულდა 25 წელიწადი მას აქეთ, რაც 1870 წლის საქალაქო დებულება გამოცხადდა კანონად. გაზეთი „ვოლგარ“-ი გაიხსენებს-რა ამ საყურადღებო იუბილეს, სხვათა შორის, ამბობს შემდეგს:

„საზოგადოების წრე, რომელიც იღებს დღეს მონაწილეობას ქალაქის თვითმართველობაში, ფრიად მცირე არის. საჭიროა გაფართოვდეს ეს წრე და ქალაქში მცხოვრებ განათლებულთა და სწავლა მიღებულთ მიეცეს ნება თვითმართველობის საქმეებში ჩარევისა. დღემდის ქალაქის საქმეებს განაგებს მხოლოდ ის, ვისაც ქონება რამ აქვს, საჭიროა ამიერიდგან საქმეების გამგებლად იყოს ისიც, ვინც სახლს ქირაობს. ინტელიგენციის დაშვება ქალაქის საქმეებში გააცოცხლებს და გააუმჯობესებს ქალაქის თვითმართველობასაო.

## უცხოეთი

—

**იაპონია.** ამ უკანასკნელს დროს, ამბობს გაზეთი „ნოვოე ვრემია“, სრულებით აღარა ისმის-რა ლიატონგის კუნძულის შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამას წინად ჩვენ გავიგეთ, რომ იაპონელი ჯარი ემზადება და მალე მიატოვებს კუნძულს; რა მოხდა შემდეგ, აღარ ვიცით, ხოლო უკანასკნელს გაზ. „ტან“-ის ნომერში ვკითხულობთ ზემოხსენებულ კუნძულის შესახებ შემდეგს დეპეშას ტიანძინიდგან:

„აქ დიდი მითქმა-მოთქმაა როგორც ამ ხმებიდგან სჩანს იაპონელები კუნძულ ლიატონგის საზღვარზედ სიმაგრეებს აშენებენ“.

„რას ნიშნავს ესაო, კითხულობს გაზ. „ნოვოე ვრემია“.

—

**ინგლისი.** ირლანდიელთ პარტიის ერთის ნაწილის ანტიპარნელისტების წინამძღოლმა მაკ-კარტიმ განაცხადა, რომ ლიბერალთა სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომა ირლანდიის

---

ჰქონდათ!

კატრინ. (სასოწარკვეთილი) მოჰკლეს, მოჰკლეს!

ნაპოლეონ. საბრალო! ჩქარა ლექვრს დაუძახეთ! სად არის ლექვრ? (განონვილ მარბის მარჯვნივ, იქიდგან ნელა შემოდის ლექვრი და სავარიც უკან მოჰყვება.)

კატრინ. აი ისიც!

გამოსვლა 13.

იგინივე ლექვრი და სავარი.

ნაპოლეონ. ეხლავ შიკრიკი აფრინეთ! მე ვაპატიე...

ლექვრ. საუბედუროდ გვიან არის, ხელმწიფეო!. (მიუთითებს სავარის) ეხლა ყველაფერი გათავებული უნდა იყოს!

სავარი. (სიჩქარით წამოვა წინ და თავ-მომწონეთ). რაღა ლაპარაკი უნდა, გათავებული იქნება.

ნაპოლეონ (მკაცრად) რაა?

კატრინ. აჰ... აჰ... (დაეცემა დივანზედ და სტირის. ლექვრი ხელს მოჰკიდებს).

სავარი. დიახ, ხელმწიფეო! ახლა ყველაფერი გათავებულია.

ნაპოლეონი. (მოქუხებით) მერე ვინ გითხრათ, ეგ ჩემი სურვილი იყო?

სავარი. როგორ?

ნაპოლეონ. ის უბრალოა!

სავარი. მე ეს არ ვიცოდი, ხელმწიფეო!

ნაპოლეონ. თქვენ არასოდეს არაფერი არ იცით...

სავარი. მაგრამ თქვენი ბრძანება... ჩემი ბეჯითი სამსახური...

ნაპოლეონ. თქვენ ბეჯითობთ ამგვარ საქმეებში... მაგრამ უფრო სულელობთ! (ფუშე მარცხნივ გამოჩნდება და ხითხითებს).

სავარი. ხელმწიფეო, მე მოვიქეცი...

ნაპოლეონ. სულელურად! უჭკუოდ.. უაზროდ! ფუშე არასოდეს ასე არ მოიქცეოდა!..

გამოსვლა 14.

იგინივე და ფუშე.

ფუშე. რასაკვირველია, არასოდეს, ხელმწიფეო!. (ნელ ნელა გადმოივლის სცენას, სავარი მიიმალება კუთხეში) ძალიან კარგათ ვიცი, ხანდახან ნამეტანს გაფიცხდებით, მაგრამ შემდეგ თითქმის ყოველთვის თქვენი წყრომა წყალობად შეიცვლება!.. მე შემთხვევით თვალი მოვკარ, საბრალო ყმაწვილ კაცს მიაქროლებდნენ სავარის ეტლით ორი პოლიციელნი, რომელნიც წინად ჩემი ხელ-ქვეითნიც იყვნენ. იმ წამსვე გამიელვა აზრმა მებრძანებინა იმათთვის მხოლოდ ერთი სიტყვა: განათავისუფლეთ! და ეს, სწორედ, იმპერატორს დიდს უსიამოვნებას ააცილებს მეთქი!..

ნაპოლეონ. (აჩქარებით) დიალაც უნდა გეთქვათ ეგ სიტყვა..

ფუშე. (ცბიერად) რა უფლებით, ხელმწიფეო? ამ სიტყვაზედ მე უსათუოდ უნდა დამერთო: „მე მივიღე იმპერატორის ბრძანება ამის შესახებ, თქვენ ეხლა ჩემი ხელ-ქვეითნი ხართ, რადგან პოლიციის მინისტრად სავარის მაგიერ მე დამნიშნეს მეთქი“.

ნაპოლეონ. მერე, რატომ ეგ არ უთხარით?.. სრული ჭეშმარიტება იქნებოდა! თქვენ ისევ პოლიციის მინისტრი ხართ. ხოლო თქვენ-კი, სავარ დამითხოვნიხართ! (სავარი შეინძრევა).

ფუშე. და თქვენი უდიდებულესობა მომიტევებდა განა ჩემის უფლების ასეთს ალმატებას?..

ნაპოლეონ. წრფელის გულით!..

ფუშე. (მხიარული მოდის წინ) მაშ რადგან ასეა, ხელმწიფეო! მაპატიეთ. მე სწორედ ასე მოვიქეცი.

ნაპოლეონ. როგორ?

კატრინ. მართლა?

ფუშე. ნეიპერი ეხლა მიაქროლებს ეტლს სუასონისაკენ... იმ ეტლით, რომელიც ასე თავაზიანად დაუთმო მას სავარიმ! (უთითებს სავარისზედ. კატრინ აღტაცებით ხელს ჩამოართმევს. რუსტან შემოდის დაჭერილ კონვერტით).

კატრინ. ჩინებულია! ბრავო! ბრავო!

ნაპოლეონ. ფუშე!—თქვენ ნამდვილი თვალთ-მაქცი ხართ!

ფუშე მხოლოდ ერთგული მონა თქვენი, ჩემის ხელმწიფისა.

ნაპოლეონ. (სავარის) ამ წამს მდევარი დაადევნეთ ნეიპერს, გადაეცეთ ეს წერილი! (რუსტან გადასცემს სავარის და გადის მარცხნივ. ფუშე და კატრინ იმპერატორს შესცქერიან). ეს ავსტრიის იმპერატორთან იგზავნება!

კატრინ. (უჩვენებს ნეიპერის ხმალს) ხელმწიფეო! არ უბრძანებთ, რომ ხმალიც დაუბრუნონ?

ნაპოლეონ. კარგი! მაგრამ ერთის პირობით ხოლოდ.. მოიხმაროს იგი ხოლმე უფრო სხვა რიგათ! (კანონვილს გადასცემს. კატრინ და ლექვრ ცხარედ ლაპარაკობენ.. ლექვრი ქურქს ახურავს. სავარი ფუშესთან მიდის)

სავარი. (დაბლა, აღელვებით) თქვენ..! თქვენ წამართვით მე.. მინისტრობაც.. უფლებაც... ყველაფერი!..

ფუშე. (ძალიან დამშვიდებით ბურნუთს აწევს) ყველაფერი, ჩემო საყვარელო, ყველაფერი!! (სავარი, შეწუხებული თავს მძიმედ უკრავს ნაპოლეონს—ეს ზურგს შეაქცევს. სავარი გადის).

გამოსვლა 15.

იგინივე სავარის გარდა.

ნაპოლეონ. (ფუშესთან მიდის და იმის კოლოფიდგან ბურნუთს ამოიღებს) კი მაგრამ, საფრთხილო საქმე ჩაიდინეთ!.. რომ არ შემეწყნარებინა ნეიპერი, მაშინ რაღას აპირებდით?

ფუშე. (დაბალის ხმით) ესეც გამოანგარიშებული მქონდა, ხელმწიფეო! სუასონში ისევ დავაპატიმრებდი და.. (ბურნუთს აწევს).

ნაპოლეონ. (იცინის და თან ბურნუთს აწევს) ოო, ჩვენი ფუშე სწორედ ჭახრაკი კაცია. ყველაფერი მოაზრებული აქვს...

ფუშე. (მაღლა და მხიარულად) თუმცა ხელმწიფეო, მე ვიცნობ ერთს ვისმეს, რომელიც ჩემზედ უფრო მოხერხებულია!

ნაპოლეონ. მერე, ვინ არის ეგ?

ფუშე. (კატრინზედ უთითებს) დუკის მეუღლე!

ნაპოლეონ. (მიდის კატრინთან და ყურზედ ხელს ჰკიდებს) ოჰ... ეს ყველაზედ უფრო ეშმაკია, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს!..

ლექვრი. (სიხარულით) იქნება. მართლა, ხელმწიფეო?

ნაპოლეონ. ძვირფასი რამ არის. ასეთს განძს ვერსად შეხვდები! (აკოცებს ხელზედ).

კატრინ. (მედიდურობით ხელს გაუშვის ხელში ლექვერს) დაინახე? (მარცხენა ხელით ეთხოვება ფუშეს. ნაპოლეონი გააღებს შუა კარებს—კატრინ მიდის, ნაპოლეონი მძიმე პატივით თავს უკრავს).

(დასასრული).

ტფილისი
1895 წელ. ივნისი.

კ. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს საშინლად აფერხებს, რადგანაც ახალი მთავრობა დაუძინებელი მტერია ირლანდიისა. მაკ-კარტი აგონებს ირლანდიელთ, რომ ისინი 9 წლის განმავლობაში ლიბერალებთან ერთად მოღვაწეობდნენ და რომ ლიბერალთ პროგრამაში პირველი ადგილი ირლანდიის თვით-მმართველობას უჭირავს და იწვევს თვის თანამემამულეთ კონსერვატორებთან და ლიბერალ-დისიდენტებთან საბრძოლველად. სრულიად სხვა აზრისაა პარნელისტების წინამძღოლი—რედმონდი. ეს სრულიად არა სწუხს როზბერის სამინისტროს გადადგომას, ამბობს მხოლოდ, რომ უკეთესი იქნებოდა როზბერის პარლამენტი დაეთხოვა და არა თვით დაენებებია თავი სამსახურისთვისაო.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის მთავრობა ამ დღეებში შეკრა სავაჭრო კავშირით შვეიცარიას. ამ დღეებშივე მთავრობამ დაასრულა მოლაპარაკება ჩინეთთან და განსაზღვრა მასთან თვისი სამფლობელო აზიაში. ამ ორმა გარემოებამ დიდად ასიამოვნა საფრანგეთის საზოგადოება და გაზეთები ულოცვენ მთავრობას გამარჯვებას.

—

გაზ. „გოლუა“-ში დაბეჭდილია წერილი რუსეთთან დამოკიდებულებათა შესახებ კილის დღესასწაულის გამო. გაზეთი პირდაპირ წინააღმდეგია რუსეთისა და საფრანგეთის კავშირისა და სრულიად უსარგებლოდა სთვლის საფრანგეთისათვის მას. მიზეზი კავშირისა ის სრულიადაც არ არის, რომ საფრანგეთს თავს ვინმე დაესხმის, მაშასადამე რა საჭიროა საფრანგეთისათვის, რომ რუსეთს ულოლიავებს. ასეთი დამოკიდებულება რუსეთსა და საფრანგეთს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთი დაჰპირდებოდა საფრანგეთს დაკარგული პროვინციები დაუბრუნოს. წინააღმდეგს შემთხვევაში-კი ეს დამოკიდებულებანი რუსეთთან „სიცრუე, ყბედობაა“, რომლისა გამოც დღევანდელი სამინისტრო უთუოდ პასუხს აგებს ქვეყნის წინაშე, გაზეთი ამბობს, სხვა-და-სხვა ინსინუაციებს მოსდევს, —ვითომ რუსეთი მხოლოდ ფულის ინტერესით უახლოვდებოდეს საფრანგეთსა, ე. ი. ატყუებდეს მას და სხვანი.

ჩვენთვის რუსეთისა კი არა, ინგლისის კავშირია სასარგებლო და ლოლიაობითაც ინგლისს უნდა ელოლიავებოდეს საფრანგეთი, რომ ეს სასურველი კავშირი როგორმე მოხდესო, ამბობს გაზეთი.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატად ნამყოფმა დენეიუზმა, ხელობით ტეხნიკმა, გამოიგონა ახალი საშუალება გაზით განათებისა. მან გაზი და ელექტრონი ერთად შეაერთა, და ამგვარი სინათლე თურმე დღის სინათლეზედ ნაკლები არ არის. ამასთანავე იგი უფრო იაფად ჯდება, ვიდრე აქამდის გამოგონილი სინათლეები. დენეიუზს ეს ახალი გამოგონება ტეხნიკების კრებისთვის წარუდგენია და კრება დიდად კმაყოფილი დარჩენილა ამისთანა გამოგონებით.

ამ მოკლე ხანში ცნობილმა მწერალმა სამოცდა-ათის წლის ალექსანდრე დიუმამ სამოქალაქო წესით შეირთო ქ-ნი რენიე. დიუმას მხრივ მოწმედ იყვნენ სარდუ და ვიცე ადმირალი დიუპერე, ქ-ნ რენიეს მხრივ—ერნესტ ლეგუვე.

## ჟოკეის ნაამბობი.

—

საზოგადოდ ჟოკეის ხელობა მძიმე ხელობაა, მაგრამ დიდად გამოსადეგი-კი. არ არის სხვა ხელობა, რომელიც ასე სწრაფად ამდიდრებდეს კაცს. ყმაწვილს, რომელმაც ის კი იყო მიაღწია სრულს წლოვანებას, შეუძლიან 8—10-ათას მანეთამდე იშოვოს ერთის წლის განმავლობაში. რამდენსამე დოღზედ წლის განმავლობაში კარგი ჟოკეები იძენენ 30,000 მანეთს ფულს. ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ სხვა წვრილმანი შემოსავალიც. აი, რას ამბობს ჟოკეი, ჯონ კრუკესი წვრილმან შემოსავლის შესახებ:

„ერთმა ჰაბუკმა ნიუმარკეტში დოღზედ გაიმარჯვა. იმ ფულის გარდა, რომელიც დოღში გამარჯვებულისთვის საჩუქრად იყო დანიშნული, მან კიდევ მიიღო უცნობიდგან 12,500 ფრანკი. ერთის კვირის განმავლობაში ფრედ არჩერმა მიიღო სამი ბრილიანტის ქინძისთავი, უკანასკნელს სეზონში მე მომართვეს საჩუქრად ორი ოქროს საათი. ორის წლის წინად ოქტომბრის მეორე დოღზედ ორი ცხენზედ, რისთვისაც მომცეს 250 ფრანკი ოქრო. მეორე წელს მე მივიღე ბრილიანტის ბეჭედი და წერილი, 2,500 ფრანკი ბანკის ბილეთებით. მაგრამ ეს შემთხვევითი შემოსავალი არაფერია იმ დოღში აღებულ ჯილდოსთან, რომელსაც იღებენ ზოგიერთი ჩემი ამხანაგები. ერთმა ჟოკეიმ აიღო ერთს მარულაზედ ჯილდო რიცხვით ორმოცი ათასი მანეთი. ამის გარდა ქალებმა მრავალი ძვირფასი ნივთები მიართვეს. ამ ნივთებით შეეძლო ერთი მაღაზია აევსო მას. ყველა ცხენისს პატრონი მოვალეთა სთვლის თავისს თავს მისცეს ჟოკეის არა ნაკლებ 10,000 მანეთისა.

ერთმა ჩემმა მეგობარმა სამჯერ მიიღო 10,000 მანეთი ხუთის წლის განმავლობაში, შენიშნა ჯონ კრუკესმა.

—როგორც სჩანს, სამარულე ცხენოსნობა უფრო შემოსავლიანი ხელობა ყოფილა ვიდრე მინისტრობა.

— შეუდარებელია ეს ხელობაო, კმაყოფილების ღიმილით უპასუხა ჟოკეიმ. მე ვიცნობდი ექვს ჟოკეის და თითოეული მათგანი წლის განმავლობაში 100,000 მანეთს შოულობდნენ.

## „ჰამიდის“ რაზმები ოსმალეთში.

„მოსკოვ. ვედ.“-ის სიტყვით „ოსმალეთს გადაუწყვეტია მცირე აზიაში მცხოვრებნი ქურთნი, მძარცველნი და დაუნდობელნი სისხლის მღვრელნი, როგორმე სახელმწიფოსათვის სასარგებლო ხალხად გარდაექმნა. ამ განზრახვით მთავრობამ სრულიად შესწყვიტა ქურთთა ჯარები და დააარსა სულ განსაკუთრებული ჯარი რუსეთის ყაზახთა ჯარის დაგვარად“.

„მთავრობის რეფორმამ გაიმარჯვა. ქურთნი დიდის სიამოვნებით მიეგებნენ ასეთს რეფორმას. როგორც მნახველნი ამბობენ, ქურთნი სამაგალითო ჯარის-კაცები დამდგარან. ოდესმე ფირალთა და მეომართ ქურთთა ტომთ ძალიან ადვილად შეისწავლეს სამხედრო ცოდნა, და მეტად გამბედავ და მკვირცხლ მხედრობად გამოდგნენ. მთავრობას ამ ჯარის შენახვა სულ იაფად უჯდება, თუ აქ მხედველობაში არ მივიღებთ საჭირო სამხედრო იარაღსა და დროშებს. სარდლებად და ოფიცრებად ჯერ-ჯერობით ამ ჯარებს ოსმალთ უნიშნავს მთავრობა, რადგანაც ქურთნი ნაკლებად არიან განათლებულნი და ნიჭიერი სარდალი ჯერ არავინ გამოჩენილა იმათში“.

„ამ ჟამად ოსმალეთმა 60-ცის ცხენოსანი რაზმი შეადგინა ქურთებისაგან. ქურთთა რაზმები თითქმის ყველა კავკასიის სამხრეთ საზღვრებზედ უყენია ოსმალეთს და ომის დროს 30-დგან 32 ათასი ცხენოსანი კაცი შესდგება ქურთთაგან. რასაკვირველია, რომ ეს რაზმები ოსმალეთს დიდს სამსახურს გაუწევენ, დააბრკოლებს ჩვენს სამხედრო ოპერაციებსა და ოსმალეთის მთავრობა-კი თავისუფლად გაანაწილებს თავის ჯარებს საომარს ადგილებშიო, ამბობს «მოსკ. ვედ.»

მაგრამ 60 რაზმი-კი არა, ოთხი ამდენიც შეუძლიან შეადგინოს ოსმალეთმა მცირე აზიაში მცხოვრებ მოხეტიალე ტომთაგან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რაზმთა რიცხვი 200-დის ავა. მცირე აზიაში მარტო ქურთნი ითვლებიან 1.600,000 ათასი, რომ არაბნი და სხვა მათ გვარი ხალხი არ ვიანგარიშოთ. როდესაც ეს რეფორმა სრულიად განხორციელდება, ეჭვი არ არის, იძულებულნი ვიქნებით პირველ ხანად მხოლოდ მტრის მოგერებას ვეცადნეთ“.

«უეჭველია, სამაგალითოდ გაწვრთნილი ქურთის ჯარი რუსის ყაზახს არაფრით ჩამოუვარდება იარაღის ხმარებაში, სიმარდესა და გამჭრიახობაში».

«ბ-ნი ქსიმენეზი, რომელსაც ბევრი უმოგზაურია მცირე აზიაში და თითქმის ზედმიწევნით შეუსწავლია ქურთთა რაზმები, ამბობს, რომ ბევრს ამ რაზმთაგანს ნამდვილი არაბული ცხენები ჰყავს, დანარჩენთ კი ქურთთა ჯიშისა, რომლებიც შესანიშნავნი არიან თურმე თავისის სილამაზითა და გამძლეობით“.

განსაცვიფრებელის სისწრაფით თურმე შესდგება ხოლმე ომის დროს რაზმები, როგორც ეს მოგზაური ამბობს. ერთხელ ქსიმენეზმა ჰკითხა თურმე ერთს ქურთთა რაზმის სარდალს,—რამდენი ხნის განმავლობაში შეგიძლიან შეჰკრიბო ჯარი და მოემზადო სალაშქროდაო. პასუხის მაგიერად სარდალმა რაღაცა ბრძანება გასცა და 45 წამის შემდეგ მოგზაურის წინ მზად შეიარაღებული და სალაშქროდ გამზადებული რაზმი იდგაო“.

„აი, ის მტერი, რომელთანაც ანგარიში უნდა ვიქონიოთ და რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ყაზახებს და დრაგუნებს უნდა გავიყვანოთ. მართალია მათთვის ეს მტერი ახალი არ არის, რადგანაც 1877—78 წლებში მას მცირე დაცინვითაც-კი მოვეპყარით. მაგრამ მაშინ სხვა იყო; იმ დროს იგი უწესო ბრბო იყო,—ახლა-კი გაწყობილი ჯარიაო“.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გარდავუხადო იმ პირთ, რომელნიც დაეხმარნენ ქუთაისის დაზარალებულს თეატრს. შემომწირველთა სია:

კნიაჟ. ანნა ბაგრატიონ დავითის ასულმა 1 მან., კნჟ. სონა ციციშვილის ასულმა 1 მან., კნჟ. მარო ფალავანდიშვილის ასულმა 2 მან., კნ. სადიკო წერეთლისამ 2 მან., იულია კალატოზოვისამ 2 მან., თავ. ლუკა ბეგთაბეგიშვილმა 2 მან., თავ. სოსიკო თარხნიშვილმა 2 მან., ქართველიშვილმა, თავ. დავით ბაგრატიონ-დავითაშვილმა 3 მან., № 2 მან., თავ. კოტე გიორგის ძე ციციშვილმა 1 მან., თავ. საბა ნიკოლოზის ძე ციციშვილმა 2 მან., თავ. დავით გიორგის ძე ერისთავმა 1 მან., მინა გიორგობიანმა 1 მან. და კატუტია წერეთლის ასულმა 1 მან. სულ 23 მანეთი.

კნჟ. კატუტია წერეთლის ასული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 ივნისი.

**პეტერბურგი.** აქ მოვიდა ბულგარიის დეპუტაცია, რომელსაც წინაუძღვის მიტროპოლიტი კლიმენტი. დეპუტაციამ მოიტანა თან გვირგვინი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III საფლავზედ დასადებად. დეპუტაცია 10 დღეს დარჩება.

**ბერლინი,** 22 ივნისი იმპერატორი ვილჰელმი დღეს დილას მიდის კილიდან სტოკჰოლმს.

**ლონდონი,** 21 ივნისი. დღეს ოთხმოცდა კლუბში ლორდმა როზბერიმ განაცხადა: ამიერიდგან ლიბერალთა მეცადინეობა იმად უნდა იყოს მიქცეული, რომ ლორდთა პარლამენტის შესახებ ცვლილება მოახდინოს; ამავე დროს დანაშთენი ნაწილი ლიბერალურის პროგრამმისა არ უნდა დაივიწყონო.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. სხიროკან შერვაშიძისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

[illegible]

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ საჩივრებს, ვთვლი [illegible]

30 მაგისტრის განკარგულებას.

მსურველნი მობრძანდნენ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: [illegible], 17.

(15—ი)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერ ქაღალდზედ

კნ. ნინო ორბელიანის

# ლექსები.

ფასი 50 კაპ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალსენაკში.

[illegible] და იყიდება [illegible] შედგენილი

# საქართველო

მეოთხე

# ქართლი

[illegible] ფასი 25 კაპ. [illegible] (ფ. 25 კ.), «საქართ. [illegible] (ფ. 70 კ.), „საქართ. [illegible] (ფ. 45 კ.), [illegible] (ფ. 40 კ.), „[illegible] X საუკ.“ (ფ. 20 კ.).